პროლეტარიელნო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ქომუნისტი

სკკ. ტ. ბ. (ბ) ცენტრ. და ცფკ. კომიტეტების და სკკ. ხაპის ორგანო

ტელეფონები: ბიუროს რედაქტორის—14—76, რედ. მოადგილის—23—17, სამდივნოს—10—58, მთ. კონტორის—8—31.

ფასი 10 კაპ.

ოთხშაბათი 22 აგვისტო 1934 წ

№ 194 (4050)

დღეს ნომერში

— უცხოეთის პრესა „პლებისციტის“ შედეგების შესახებ გერმანიაში.
— იაპონელი იმპერიალისტები ომისათვის ემზადებიან.
— გრძელდება საბჭოთა მოხელეების დაპატიმრებანი აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზაზე.
— პოლონეთი და აღმოსავლეთის პაქტი.
— ნაციონალ - სოციალისტების გასამართლება ავსტრიაში.
— კოზინსის გაფრენა სტრატოსფეროში.
— საბჭოთა მწერლების საკავშირო ყრილობის ამბავი.
— საქართველოს სახკომსაბჭოს და სკკ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილება 1934 წლის საშემოდგომო თესვის გეგმის შესახებ.
— მარგანეცის პროდუქციის გამომუშავების გეგმა 18 აგვისტოს შესრულდა 91,3 პროცენტით.

პურის ქარხნების მშენებლობას—დამკვრელი ტემპები

ტფილისს ყოველდღიურად ესაჭიროება 240 ტონა გამომცხვარი პური (ამაში არ შედის რკინიგზის და სამხედრო უწყების საჭიროება). ამ რაოდენობის დაკმაყოფილება წვრილი ფურნეებით შეიძლებელია. საჭიროა **პურის ცხობის მექანიზაცია.** ეს ამოცანა დგას არა მარტო ტფილისში, არამედ თითქმის ყველა მსხვილ ქალაქში, სადაც მოსახლეობა სწრაფად იზრდება.

ჩვენს ხელთ არსებული ცნობები მოწმობენ, რომ **პურის ქარხნების მშენებლობა საქართველოში ძალიან სუსტად მიმდინარეობს,** ორი წელიწადია შენდება ტფილისი №—2 პურის ქარხანა და მშენებლობა დღემდე დამთავრებულია მხოლოდ 75 პროცენტით. ორი წლის შენების შემდეგ შეუყდა მუშაობა ჰიათურის მექანიკური ფურნის მშენებლობაზე. ერთ წერტილზე გაიყინა პურის ქარხნების მშენებლობა ქუთაისსა და ბათომში. დაუმთავრებლად აამუშავეს ბორჯომის და ხაშურის მექანიკური ფურნეები.

მთელი ეს არევდარევა გამოწვეულია იმით, რომ პურის ქარხნების მშენებლობა მოკლებული იყო კონკრეტულ - ოპერატიულ ხელმძღვანელობას საქართველოს პურის ტრესტის მხრივ. საყმშენებლო ობიექტები უზრუნველყოფილი არ იყო ნახაზებით. ჰიათურის ფურნე ორი წლის განმავლობაში შენდება უპროექტო და უხარჯთაღრიცხვოთ; ახლა, როდესაც მშენებლობა 80 პროცენტით მზადაა, ის სრულებით გამორიცხეს ლიტერატურიდან.

დაუშვებელ მოვლენებს ჰქონდა ადგილი ქუთაისის და ბათომის პურის ქარხნების სიმძლავრის გამოკვეთვის საქმეში. საკონტროლო ციფრებით ბათომის ქარხნის სიმძლავრე განსაზღვრული იყო 20 ტონით, ხოლო ქუთაისის—11 ტონით. ადგილობრივმა ორგანიზაციებმა მშენებლობა გაშალეს 60 ტონის ვარაუდით. საამისო თანხები არ იყო გათვალისწინებული და მშენებლობაც შეჩერდა.

კომერციული პურის გამოსაცხობად მთელ რიგ ქალაქებში აგეს ფურნეები და თორნეები. შესრულებული მუშაობა ძალზე დაბალი ხარისხის აღმოჩნდა, ტფილისის და ქუთაისის თორნე დაინგრა. ამას თან სდევდა თანხების გადახარჯვა. საყმშენებლო სამუშაოების ღირებულება საბაზრო ფასებთან შედარებით გაიზარდა 40 პროცენტით. ამ უმსგავსოების ავტორები დღემდე არ არიან მიცემული პასუხისგებაში.

სკკ. პარტრესტის პრაქტიკა მაგალითია იმისა თუ **როგორ არ უნდა ხწარმოებდეს** მშენებლობა უპროექტო და უხარჯთაღრიცხვო მშენებლობა ყოვლად დაუშვებელია. გადაჭრით უნდა აღიკვეთოს მშენებელთა ქედმაღლური დამოკიდებულება საბჭოთა მანეთისადმი: „მე ვაშენებ, ხოლო სხვამ გამოიანგარიშოს მისი ღირებულება“. ასეთი მიდგომა ჩვენს მშენებლობისადმი აბსოლუტურად მიუღებელია.

შრომის და თავდაცვის საბჭოს დადგენილებით, უხარჯთაღრიცხვო და უპროექტო მშენებლობას უნდა შეუწყდეს ფინანსების მიწოდება. ჰიათურის მექანიკური ფურნის მშენებლობის მიმართ ეს დონისძიება უკვე გატარებულია. ასეთივე ბედი მოელის ყველა უგეგმო - უპროექტო, ანარქიულად წამოწყებულ მშენებლობას. ასე შენება აღარ შეიძლება. სახელმწიფო ამისათვის არ გაიღებს თანხებს. ყოველი დახარჯული მანეთით ჩვენ ახლა გაცილებით მეტი უნდა ავაშენოთ, ვიდრე ეს აქამდე იყო. ეს მოითხოვს ყველა საყმშენებლო ორგანიზაციის მუშაობის ძირიანად გარდაქმნას.

ჩვენ უნდა ვისწავლოთ კულტურულად, იაფად და კარგად შენება.

მხატვრული სიტყვის ზეიმი!

„ვეფხვის ტყაოსანს“ მსოფლიო კლასიკურ ლიტერატურაში თვალსაჩინო ადგილი უჭირავს. საუკუნეებმა განვლო **შოთა რუსთაველის** ამ უკვდავი პოეტური ქმნილების გამო ქვეყნებიდან. ყოველ სიავეს ვერაფერი დააკლო მხატვრული სიტყვის ამ დღემდე მოუღწეველ შედევრს.

პროლეტარიატის დიქტატურის გამარჯვებამ და განმტკიცებამ ჩვენში უზრუნველჰყო კლასიკური ლიტერატურის შეუდარებელი ნიმუშის „ვეფხვის ტყაოსნის“ ნამდვილად ადამიანური სახალხო საკუთრებად. მშრომელ მასების სიმდიდრედ. შოთა რუსთაველი როგორც კლასიკოსი, „ვეფხვის ტყაოსანი“ როგორც ლიტერატურული მემკვიდრეობა, გამარჯვებული პროლეტარიატის აღიმედო ხელშია.

საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის ისტორიული დადგენილება, რომელიც ჩვენი გაზეთის გუშინდელ ნომერში გამოქვეყნდა, პროლეტარიატის მიერ ლიტერატურული მემკვიდრეობის დაუფლების, მისი კრიტიკული შეთვისებისათვის ნაყოფიერ ბრძოლის ცოცხალ ილუსტრაციას წარმოადგენს. ეს დადგენილება ნათელჰყოფს მოწინავე პროლეტარიატის და მისი პარტიის ლენინურ-სტალინური მიდგომას ისტორიულად შექმნილ კულტურულ ღირებულებისადმი.

მშრომელ მასებს უყვართ „ვეფხვის ტყაოსანი“, შოთა რუსთაველის სახელი ღრმად შეიჭრა მათ გულში. მსოფლიო ლიტერატურის ისტორიაში იშვიათია მწერალი, რომელსაც საუკუნეების განმავლობაში ესაზრიბ ლნოს ხალხის მხურვალე თანაგრძნობით. განუზომელი ავტორიტეტით, სიყვარულით, პატივისცემით ეკუბმარიტად.

ხალხს სახელისა მოხვეჭა
ყოველისა მოსახვეჭელსა!

ქართული კლასიკური პოეზია „ვეფხვის ტყაოსანი“-თ იწყება. შოთა არის ქართული კლასიკური პოეზიის ფუძემდებელი. მან ქართული მხატვრული სიტყვა აამაღლა ისეთ მწვერვალამდე, რომელიც მიუღწეველია დღემდე. შოთა რუსთაველმა ენციოსტურად გაიგო მხატვრული სიტყვის, კერძოთ პოეზიის ნამდვილი ბუნება: **„მაირობა პირველადვე სიბრძნისაა ერთი დარგი“**

„ვეფხვის ტყაოსანი“ დღესაც პროლეტარიატის დიქტატურის პირობებში, თითქმის ისევე აქტუალურია, როგორც ეს იყო 8 საუკუნის წინ. ქართული მხატვრული სიტყვის დღემდე განუმეორებელი ოსტატი შოთა რუსთაველი ბნელი საუკუნეების მანძილზე უდიდეს გავლენას ახდენდა მის მომდევნო მწერლებზე. „ვეფხვის ტყაოსანზე“ სწავლობდა „მოშაირეთა“ პლეადა, რომელსაც ოფიციალურად თუ ბევრად მიუძღვის წილი ქართული მხატვრული ლიტერატურის განვითარებაში, რომლის კვალი დარჩენილია ლიტერატურის ისტორიაში.

თანამედროვე საბჭოთა ლიტერატურამაც უნდა ისწავლოს „ვეფხვის ტყაოსანზე“.

სოციალიზმის დიდი ეპოქა მოითხოვს დიად მხატვრულ ლიტერატურას, ჩვენი დროის „ვეფხვის ტყაოსანს“ — დიდი ეპოქის ლიტერატურულ დოკუმენტს. **მას ჩვენ მივიღებთ!**

ეს იქნება ხელოვნებელი ძეგლი, რომელსაც ისტორიის პროგრესული მსვლელობა დაუდგამს შოთა რუსთაველს, მსოფლიო ლიტერატურის ამ დიდ კლასიკოსს.

ცენტრალური კომიტეტის დადგენილება წარმოადგენს გაშლილ სამოქმედო პროგრამას ლიტერატურული მემკვიდრეობის კრიტიკულად თვისების საქმეში.

ყოველგვარი ეჭვს გარეშეა ამ ისტორიული დადგენილების მტკიცედ, ბოლშევიკურად განხორციელება!

საკავშირო სახკომსაბჭოში

დებულება სახალხო სამეურნეო აღრიცხვის უბნის ინსპექტორთა შესახებ

მოსკოვი, 20 აგვისტო. საკავშირო სახალხო კომისართა საბჭომ დამტკიცა დებულება სახალხო-სამეურნეო აღრიცხვის უბნის ინსპექტორთა შესახებ. უბნის ინსპექტორი წარმოადგენს სახალხო-სამეურნეო აღრიცხვის სისტემის პირველად რგოლს. თავისი უბნის ფარგლებში იგი აწარმოებს საღრიცხვო სტატისტიკურ მუშაობას სოფლის მეურნეობაში, მრეწველობაში, მშენებლობაში, მოსახლეობის რაოდენობასა და დინამიკაში და კულტურულ-ფაქტობრივი მომსახურეობაში. უბნის ინსპექტორი თავის მუშაობაში ეყრდნობა სახ. საბჭოების და კოლმეურნეობათა საზოგადოებრივ აქტივს და მონაწილეობის მისაღებად ზიდავს საზოგადოებრივ ორგანიზაციებს.

უბნის ინსპექტორი უშუალოდ მორჩილება რაიონის ინსპექტორს და მუშაობს მისი დავალებების მიხედვით (ადს).

„იწყება მოგბრუნება ნაციონალ-სოციალისტთა წინააღმდეგ“

უცხოეთის პრესა „პლებისციტის“ შედეგების შესახებ გერმანიაში

მოსკოვი, 20 აგვისტო. მსოფლიო პრესა გაცხოველებით მსჯელობს გერმანიაში მომხდარი პლებისციტის შედეგებზე.

იზვესტია გაზეთები ხაზგასმით აღნიშნავენ ჰიტლერის წინააღმდეგ მიცემული ხმების რიცხვს. ცნობები პლებისციტის შესახებ იბეჭდება შემდეგი სათაურებით: „ჰიტლერი კარგავს ნიადაგს“, „ჰიტლერის „მარცხი“, „იწყება მობრუნება ნაციონალ-სოციალისტთა წინააღმდეგ“, „ნაციონალ-სოციალისტების მოწინააღმდეგეთა ძალები გაორკეცდა“, როგორც „მორნინგ პოსტი“ აღნიშნავს პლებისციტის შედეგები მოწმობენ იმას, რომ ეცემა ნაციონალ-სოციალისტების პრესტიჟი. ყოველგვარი ზეგავლენის და პროპაგანდის მიუხედავად, **მოსახლეობის 10 პროცენტზე მეტმა გაბედულად თქვა „აია“.**

ავსტრიის პრესას პლებისციტის შედეგები ჰიტლერის სასტიკ დამარცხებად მიაჩნია. ცნობებისათვის გაკეთებულ კომენტარიებში ბაზეთი „ზონ-უნდ-ბრ ნტაგსციტუნგი“ წერს, რომ ჰიტლერის **ვარსკვლავი ბინდი გადაეკრა** და აცხადებს, რომ არჩევნების თავისუფლების პირობებში და სხვ. **კანდიდატების წამოყენების შემთხვევაში** ჰიტლერი „ნამდვილად“ ვერ გაბედავდა ჰინდენბურგის მემკვიდრე. გაზეთი „ზონ-ტაგბლატი“ წერს, რომ პლებისციტის შედეგები წარმოადგენს გერმანიის გამოფხიზლებას. **ჰიტლერის მწუხრი უკვე დაიწყო და მომავალში კიდევ უფრო გაძლიერდება.**

საფრანგეთის მთელ პრესასაც პლებისციტის შედეგები ნაციონალ-სოციალიზმის დიდ დამარცხებად მიაჩნია. ყველა გაზეთი აღნიშნავს, რომ წინანდელი პლებისციტის შემდეგ იმ პირთა რიცხვი, რომლებმაც უმა ყალითო განწყობილების, „ჰერალდ ტრიბიუნი“ მოწინავე წერილში აცხადებს: ჰიტლერმა და მისმა თანამშრომლებმა იციან რომ უკმაყოფილება და იმედების გაცარუება, რომელიც გამოიხატა გუშინდელ ხმის ჩაცემაში,—მხოლოდ მცირე ნაწილია ნამდვილი უკმაყოფილების. მაი, ალბათ შეგინარჩუნეთ ჰქონდათ, რომ ეს უკმაყოფილება ცოტა ადრე გასული წლიდან. მიუხედავად ამისა საეჭვოა, სცოდნოდათ, რომ ის ერთიორად გაძლიერდებოდა, თორემ ისინი არაშემთხვევაში არ მოაწყობდნენ ამ კენჭის ყრას“.

ბერლინიდან გაგზავნილ კორესპონდენციაში, რომელიც დაბეჭდილია ხერსტის გაზეთებში, ვიგანდი ამბობს:

„მარცხით დამთავრდა ჰიტლერის განზრახვა ეჩვენებია გარეშე მსოფლიოსთვის გერმანიის ხალხის მოლიანობა თავის ირგვლივ“. ვიგანდი თავის ცნობას შემდეგი სიტყვებით ამთავრებს:

„პლებისციტის მორე დღეს გერმანია კვლავ იზოლირებულია ისევე, როგორც წინათ იყო და ყოველმხრივ შემოზღუდულია ფაშიზმის კედლით (ადს).

ნიუ-იორკი, 20 აგვისტო. პრესა, ეხება რა გერმანიაში მომხდარი პლებისციტის შედეგებს, აღნიშნავს ჰიტლერის წინააღმდეგ მიცემული ხმების ზრდას. „ნიუ-იორკ ტაიმსის“ ბერლინელი კორესპონდენტის სიტყვით, კენჭისყრის შედეგები მოწმობენ, რომ უკმაყოფილება ძლიერდება. ზოგიერთი ნაციონალ-სოციალისტი თანამდებობის პირები, როგორც კორესპონდენტი აღნიშნავს, აღიარებენ, რომ პლებისციტის შედეგებმა მათ იმედი გაუცრუა.

„ჰერალდ ტრიბიუნის“ ბერლინელი კორესპონდენტი აღნიშნავს, რომ თუ მხედველობაში მივიღებთ უმაგალითო ტერორს ხმის მიმცემთა წინააღმდეგ, ოპოზიციას სერიოზული ხასიათი აქვს. კორესპონდენტის ინტუიციით, არ უნდა მოველოდეთ, რომ უცხოეთის სახელმწიფოები „სერიოზულად მოეკიდებიან პლებისციტს“. „ჰერალდ ტრიბიუნი“ სარდაჟიცო წერილში მოუთითებს, რომ ოპოზიციას უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს, ვინაიდან უდიდესი სიმამაცე იყო საჭირო იმისათვის, რომ მიგეცა ხმა ჰიტლერის წინააღმდეგ (ადს).

იაპონელი იმპერიალისტები ომისათვის ემზადებიან

გრანდიოზული საჰაერო მანევრები

ლონდონი, 20 აგვისტო. ინგლისურ გაზეთს „მანჩესტერ გარდიანს“ მოჰყავს დაწერილებითი ცნობები იაპონიის სამხედრო - საჰაერო მანევრების შესახებ და მიდის იმ დასკვნამდე, რომ „იაპონელებს ამ დარგში მეტი ალერიფერი აქვთ სასწავლი დასავლეთისაგან“. მანევრებსა, იუწყება გაზეთი, მოიცვა 8 პრეფექტურა, ოსაკას ჩათვლით, სადაც როგორც შენიშნა სამხედრო მინისტრმა **ხაიასიმ,** ოფიციალურად იაპონიის სამხედრო მრეწველობის საწარმოთა 80 პროც.

ცნობის მიღებისთანავე, რომ მოწინააღმდეგის თვითმფრინავები თითქოს აბლოდებიან, რადიოთი მიცემული აქვა სიგნალი, მაშინვე ახმაურდენ ქარხნის საყვირები, მთლიანად მოემზადენ ორგანიზაციები, რომელთა მიზანს წარმოადგენს გაზებით ბრძოლა გემები ნიეთასდგურში, შუქურები ნაპირზე დაფარული იყო შავი მატერიით, და მოსახლეობამ 12 მილიონმა კაცმა სინათლე ჩააქრო.

ფართო მასშტაბით იქნა აგრეთვე ჩატარებული ცდები მოწინააღმდეგის მოსატყვებლად. საგუბარი მდინარეზე დაფარეს 3 ათასი ფერადი ჭილობით, ბადეებით, მწერთაგან დასაცავი რადეებით და აქ გვარად მან შთლიანად დაჭკარგა საგუბარის სახე. („პრავდის“საკუთარი ინფორმაცია).

„3 ლიტარისტული იაპონიის ეკონომიური სახე“

ჟანხაი, 20 აგვისტო. ჟურნალი „კეიძაი“,რომელიც ტოკიოში გამოდის აგვისტოს ნომერში აქვეყნებს ციგიოს სტატიას: „მილიტარისტული იაპონიის ეკონომიური სახე“.

„როდესაც მილიტარისტულმა იაპონიამ,—წერს ავტორი, —წამოაყენა პრემიერის პოსტზე ოკადა, სამხედრო მინისტრმა **ხაიასიმ** მის წინაშე მთელი სიმწვავეთი დასვა მანჯურიის საკითხი და აგრეთვე სახელმწიფოს თავდაცვის განმტკიცების საკითხი. ოკადამ მთლიანად მოიწონა მისი მოქმედება. ამის შედეგად ხაიასი დარჩა თავის პოსტზე.

მილიტარისტული იაპონია განაგრძობს მოქმედებას. სამხედრო და საზღვაო უწყებები ახალი ბიუჯეტით მოითხოვენ მილიარდ იენზე მეტს. მანჯურიის ამბების დაწყებიდან იაპონია ცხოვრობს სამხედრო ბიუჯეტის ნიშნით..

მთელ მსოფლიოში არ არის შეორე ასეთი ქვეყანა სამხედრო ხარჯების მაღალი დონით. თუ სამხედრო უწყებების პირდაპირ ბარჯებს დავუმატებთ სამხედრო მრეწველობის სუბსიდიას, ჯარში გაწვევამდე მოგზაურების დარეგისტრაციას და სამხედრო პენსიებს, მივიღებთ კიდევ უფრო გიგანტურ თანხას. იაპონიის სამხედრო ხარჯები უმთავრესად ემყარება სესხებს, რომლებიც იზრდება და მთელ საფინანსო სისტემას დანგრევას უქადის... სამხედრო მრეწველობა ხდება ქვეყნის მთელი მრეწველობის ცენტრად“. (ადს).

კოლონელი და აღმო ავლეთის პაქტი

პარიზი, 20 აგვისტო. საფრანგეთ - პოლონეთის ურთიერთობას „ტანი“ უძღვნის მოწინავე წერილს. გაზეთი აღნიშნავს, რომ ამჟამად ეს ურთიერთობა სახეირო არ არისო. „ტანი“ ჩამოსთვლის ყველა იმ სიკეთეს, რომელიც საფრანგეთმა პოლონეთს გაუწია და მწუხარებას გამოსთქვამს პოლონეთის საგარეო - პოლიტიკური სეპერატიზმის გამო, განსაკუთრებით იმის გამო, რომ პოლონეთის საგარეო საქმეთა მინისტრი **ბეკი** ცდილობს უარი თქვეინოს ბალტიკის სახელმწიფოებს აღმოსავლეთ - ევროპის პაქტში მონაწილეობაზე. გაზეთი წერს: „საბჭოთა კავშირის გამოჩენის შიშმა დიდი კონტინენტალური სახელმწიფოების წრეში და საფრანგეთსა და საბჭოთა კავშირს შორის ურთიერთობაის გაუმჯობესების შიშმა, გაუმჯობესების, რომლის პირველი შაგალითი თვით პოლონეთმა მოგვცა, შეუძლია ბიგვიყვანოს კავშირის შესუსტებამდე პარიზსა და ვარშავას შორის და პოლონეთის ო�sაღმოსავლეთ ევროპაში სრულიად უძნიშვნელო გახადოს“.

„ტანი“ მოუხმობს ძოლონეთს, უკუაგდოს თავისი ეჭვები და დაადგეს ურთიერთხდობის პოლიტიკის გზას. (ადს).

კოზინსის გაფრენა სტრატოსფეროში

პარიზი, 20 აგვისტო. პრესის ცნობით, კოზინსის სტრატოსტატი ... ზე დაიშვა 18 აგვისტოს, 21 საათსა და 30 წუთზე სოფელ ზანაელესთან, უნგრეთის, ავსტრიის და სამხრეთ-სლავიის მიჯნაზე. კოზინსი ... ილსტი ძალიან დაქანცულნი არიან. მათ განაცხადეს, რომ მიაღწიეს 16 ათას მეტრ სიმაღლეს, ჩაატარეს მნიშვნელოვანი სამეცნიერო დაკვირვებები და გამოგზავნეს 6 რადიოგრამა, რომლებიც მიღებული არ არის (ადს).

ნაციონალ-სოციალისტების გასამართლება ავსტრიაში

ვენა, 18 აგვისტო. ვენის სამხედრო სასამართლომ გამოიტანა განაჩენი ნაციონალ-სოციალისტ მეამბოხეთა ... ჯგუფის ხელმძღვანელთა საქმის გამო, რომელიც პუტჩის დროს დაიკავა ვენის რადიო სადგურის შენობა: ერთი ბრალდებული—მოსამსაფერე დომესეს მიუსაჯეს ჩამოხრჩობა, დანარჩენ 12 ბრალდებულს, რომელნიც უმთავრესად მოსამსახურეები და გონებრივი შრომის მუშაკები არიან—მიუსაჯეს სამუდამო კატორღა. ორი ბრალდებული პოლიციელის საქმის გამო, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს ნაციონალ-სოციალისტურ პუტჩში, სასჯელ... 8 დაადგინა გაგრძელდეს კვლევა-ძიება.

ამბერფორო სასამართლომ ინსბრუკში ერთ ნაციონალ-სოციალისტს, რომელსაც ოცდასამი წელი ხრჩობა (ადს).

ქარხნებს ხურავენ, მოწყობილობ ს ანადგურებენ

ინგლისში ავლავ ინტენსიურად საწარმოების ახალი წყება. ერთ-ერთი უდიდესი გემთსაშენი ფირმა ხურავს თავის ქარხნებს დაიმოლოში. ქარხნების მოწყობილობა განადგურებული იქნება.

დახურული იქნება აგრეთვე კომპანია „პამერელდტის“ ფოლადის ქარხნები და ბრმშედის ოუმენები. ეს ლაპარაკობს იმის შესახებ, რომ ფაბრიკანტებს არა აქვთ იმედი უახლოეს დროში ალადგინონ დაკარგული ბაზრები.

რინტელენის ქონების კონფისკაცია

ლონდონი, 20 აგვისტო. რინტელის საკუთარ ვენიდან იუწყება, რომ ავსტრიის მთავრობამ კონფისკაცია უყო რინტელენის აგარაკს, რომელიც 200 ათას გირვანქა სტერლინგადაა შეფასებული (გირვანქა სტერლინგი -დაახლოებით 6 მანეთი). კონფისკაცია უკავეს აგრეთვე რინტელენის ოფლის ... ... სხვადასხვა ... ... მთავრობას განზრახული აქვს რინტელენს გადაახდევინოს ივლისის ამბოხებით გამოწვეული ზარალი. ახლა რინტელენი საავადმყოფოშია. როცა განიკურნება, საველე სასამართლოს წინაშე წარსდგება.

ალმაავლობის ნახევარი წელი

„პრავდა“-ს მოწინავე, 21 VIII

სახალხო-სამეურნეო აღრიცხვის ცენტრალურ სამმართველოს ნაკრები ცნობა 1934 წლის პირველ ნახევარში მრეწველობის მუშაობის შედეგების შესახებ, რომელიც „პრავდის“ გუშინდელ ნომერში გამოქვეყნდა, უმნიშვნელოვანეს დოკუმენტს წარმოადგენს. ციფრების ეს პატარა სვეტი, **რომელიც უბრალოდ კი არ უნდა წაიკითხოს, არამედ აუცილებლად უნდა იქნას შესწავლილი, ცხადად მოწმობს, რომ ჩვენი ქვეყანა განიცდის დიდ. მზარდ აღმავლობას.** სწრაფი, ჭარბ ხისლიანი ტემპებით იზრდებიან სოციალისტური მეურნეობის საწარმოო ძალები. **სახალხო მეურნეობის ტექნიკური რეკონსტრუქცია დიდი გიგანტური ნაბიჯით მიდის წინ. იზრდება მშრომელთა შემოქმედებითი ინიციატივა და საწარმოო აქტიობა როგორც ქალაქად, ისე. სოფლად. ჩვენი ქვეყანა მილიონიანი მასების გმირული მუშაობით იპყრობს მეორე ხუთწლიდის ახალ მეწარვალებს.**

წლის პირველი ნახევრის გამარჯვებანი როგორც მრეწველობაში, ისე სოფლის მეურნეობაში, შეუპოვარი ბრძოლითაა მოპოებული. ცნობილია, რომ გაზაფხულზე ჩვენ გვემუერებოდა გვალვა და მოუსავლიანობა. მოუსავლიანობის საფრთხე სავსებით რეალურად ემუქრებოდა უმნიშვნელოვანეს, ჩვენი ქვეყნის მოსავლის განმსაზღვრელ რაიონებს—სამხრეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთის სასოფლო-სამეურნეო რაიონებს.

ვის არ ახსოვს, რა პანიკა მოიცავდა ხოლმე ჩვეულებრივად სოფელს „ძველ დროში“, როცა უანებს ემუქრებოდა გვალვისა და მოუსავლიანობის საფრთხე. განწირულების, უმწეობის, გამოუვალობის გრძნობა, ჯავრითა და ლოცვით მსვლელობა, ყოველის შემძლეობა ხუცესისა და წურბელა-კულაკისა, რომლებიც მუდამ მოხერხებულად სარგებლობდენ შიმშილობით თავიანი ეგოისტური მიზნებისათვის. თუნდაც ეს უარის თქმა და მარცვლეულის გადაძალვა შავი დღისათვის—ასეთი იყო ჩვეულებრივი სურათი გვალვის წინ. ასეთივე სურათია ახლა ევროპის მრავალ ქვეყანაში, რომლებშაც მოუსავლობა იყო.

რა უდიდესი მანძილით დავშორდით ჩვენ ყოველივე ამას. კოლმეურნეთა და ერთპიროვნულ მეურნეთა უფასოოფები ფენები პარტიის პირველი დაძახებისთანავე აღსდგენ ბრძოლის საფრთხის წინააღმდეგ საბრძოლველად. კოლმეურნეთა მილიონიანი მასები გაზაფხულზე ერთსულოვნად გამოვიდენ მინდვრად და მუშაობენ ისეთი ორგანიზებულობით, რომელიც დიდად აღემატებოდა ყველა წინანდელ წელიწადს. საადრეო თესვა, თესვის შემჭიდროებული ვადები, ფრმად მოხვნა, თესლის სწორად და გულდასმით ჩაყრა, არხების, ჭების, საწვიმარი ორმოების თხრა, ყველა წყალსაცავის ავსებენდა, ნათესებისა და ბოსტნების მასობრივად მორწყვა—აი რითი უპასუხეს კოლმეურნეთა მასებმა ბვგალვის საფრთხეს.

და ეს საფრთხე თავიდან იქნა აცილებული. სტიქიას ხელიდან გამოვგლეჯეთ „ამბანაგი მოსავალი“.

და თუ ახლა ჩვენი ქვეყანა დებულობს მოსავალს არა უარესად, არამედ ალაგ-ალაგ უკეთესადაც გასულ წელთან—სარეკორდო მოსავლის წელთან—შედარებით, ამ უდიდეს ეკონომიურ ფაქტში თავის გამოხატულებას პოულობს ჩვენი პარტიის, ლენინური ხელმძღვანელობის და მისი ბრძენი მესაჭის—ამხანაგ სტალინის უდიდესი გამარჯვება.

ბოლშევიკური ორგანიზებულობის დიდი გამარჯვება მარტო ხოფელში როდია მოპოებული. არანაკლებ დიდ წარმატებას მივაღწიეთ ჩვენ სოციალისტურ მრეწველობაში. ამას საუბებით ნათლად მოწმობს გუშინ გამოქვეყნებული ცნობა. ჩვენმა მსხვილმა მრეწველობამ წლის პირველ ნახევარში გამოიმუშავა თითქმის 18 მილიარდი მანეთის ახალი პროდუქცია. ამ თანხიდან 10 მილიარდ მანეთზე მეტი მოდის საწარმოო საშუალებათა წარმოებაზე. მსხვილი მრეწველობის საერთო პროდუქცია, 1933 წლის პირველ ნახევართან შედარებით, 19,7 პროცენტით გაზრდილა. ამ ციფრის მნიშვნელობა კიდევ უფრო დამახასიათებელი იქნება, თუ გავიხსენებთ, რომ გასულ წელს მთელი მსხვილი მრეწველობის პროდუქციის საშუალო წლიური ზრდა 9 პროცენტს შეადგენდა. ტემპების გაორკეცება, გასულ წელთან შედარებით,—აი რას მიაღწია მრეწველობამ წლის პირველ ნახევარში.

სახალხო მეურნეობის დარგების ავანგარდში მტკიცე ნაბიჯით მიდის მძიმე მრეწველობა. იგი იძლევა მუშაობის საუკეთესო ნიმუშებს ყველა მარჯენელის მიხედვით. მისი პროდუქციის გამოშვება, 1933 წლის პირველ ნახევართან შედარებით, 29,3 პროცენტით გაიზარდა. ეს—უდიდესი წარმატებაა, ვინაიდან გასულ წელს მძიმე მრეწველობის პროდუქციის საშუალო წლიური ზრდა 11,5 პროცენტს უდრიდა. საგრძნობლად გაიზარდა ლითონის წარმოება (40-ზე მეტი პროცენტით), მანქანების (27 პროცენტი), ელექტროენერგიის (32 პროცენტი) და სათბობის წარმოება. შესრულებულია მთავრობის დავალება მოსავლის ახალები მანქანების წარმოების დარგში. სოფლის მეურნეობას შეემატა სამანქანო პარკის ხერიოზული შევსება. ყოველივე ეს იმას მოწმობს, რომ გაშლილი ტემპებით მიმდინარეობს სახალხო მეურნეობის ტექნიკური შეიარაღება, რაც 1934 წლის გეგმის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს დავალებას წარმოადგენს.

მოხმარების საგნების დამამზადებელი მრეწველობის პროდუქცია 10,5 პროცენტით გაიზარდა. დარგების ამ ჯგუფში პროდუქციის ყველაზე უფრო მეტ ზრდას მიაღწია მომარაგების სახალხო კომისარიატის მრეწველობამ, რომელმაც თავისი პროდუქცია 23,3 პროცენტით გაადიდა.

ფართო მოხმარების საქონლის წარმოებისა და სასურსათო სასაქონლო ფონდების ზრდასთან ერთად იზრდებოდა ვაჭრობაც ჩვენს ქვეყანაში. წლის პირველ ნახევარში საცალო საქონელბრუნვა, გასულ წელთან შედარებით, 36 პროცენტით გაიზარდა. ამან გამოიწვია მშრომელთა საკეროებათა და მოთხოვნილებათა მომსახურების საგრძნობი გაუმჯობესება.

ყოველივე ეს არის დიდი ხამეურნეო აღმავლობის ციფრები. ისინი გვიჩვენებენ, რომ ჩვენი ეკონომიკა სწრაფად იზრდება და ვითარდება ჯანსაღ საფუძველზე.

მაგრამ ამასთან ერთად ყოველივე ეს ვერ დამალავს წლის პირველი ნახევრის შედეგებიდან გამომდინარე იმ გადამწყვეტ დახვნას, რომ მოხმარების საშუალებათა დამამზადებელი დარგების უმრავლესობა ჯერ კიდევ ცუდად მუშაობს. პირდაპირ უნდა ითქვას, რომ მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარიატის და სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატის დარგების უმრავლესობა დაუშვებლად ჩამორჩება ჩვენი ეკონომიკის მოძრაობის მზარდ ტემპებს.

ორი უმნიშვნელოვანესი კომისარიატის მრეწველობის ამ ჩამორჩენამ გამოიწვია მოხმარების საგნების წარმოების პროგრამის ჩაშლა. მოხმარების საგნების წარმოება წლის პირველ ნახევარში გეგმიან დავალებით გათვალისწინებული 16 პროცენტის ნაცვლად 10,5 პროცენტით გაიზარდა. ამავე დროს საწარმოო საშუალებათა დამამზადებელმა მრეწველობამ შეძლო უზრუნველეყო პროდუქციის ისეთი ზრდა, რომელიც აღემატება საშუალო წლიურ დავალებას. ამ ფაქტიდან მსუბუქი და სატყეო მრეწველობის ხელმძღვანელებმა და პარტიულმა ორგანიზაციებმა უნდა გამოიყვანონ ყველა ხალინრო დასკვნა.

წლის პირველი ნახევრის წარმატებებმა შექმნეს მტკიცე ბაზა იმისათვის, რომ მეორე ნახევარში კიდევ უფრო სწრაფი ტემპებით წავიდეთ წინ. პროდუქციის გამოშვება წლის მეორე ნახევარში კიდევ უფრო სწრაფად უნდა გაიზარდოს, ვინაიდან პირველი ნახევრის გეგმა მრეწველობის მიერ მაინც არ არის შესრულებული. ის მძლავრად გარდაუტანა, რომელიც წლის პირველ ნახევარში მოხდა, მეორე ნახევარშიც უნდა გაგრძელდეს გაძლიერებული ტემპებით. ეს აბსოლუტურად საჭიროა იმისათვის, რომ მთელს მრეწველობას შეეძლოს ღირსეულად უპატიჟოს ჩვენი სამშობლოს უდიდეს ბატონ-პატრონს—საბჭოების მეშვიდე კონგრესს სრული გამარჯვება 1934 წლის ბეგმისათვის ბრძოლაში.

მდგომარეობა აღმ. ჩინეთის რკ. გზაზე

გრძელდება საბჭოთა მოხელეების დაპატიმრება აღ.-ჩინეთის რკინის-გზაზე

ხაბაროვსკი, 18 აგვისტო. ხარბინიდან იტყობინებიან, რომ გრძელდება აღმოსავლეთ - ჩინეთის რკინისგზის საბჭოთა მოხელეების დაპატიმრება. 16 აგვისტოს სადგურ იმიანპოზე დაპატიმრეს ექსპლოატაციის დარგის სამარგო განყოფილების უფროსი, საბჭოთა მოქალაქე **ოხტანინი,** რომელიც გამგზავრებული იყო ხაზზე საინსპექციოთ. იმავე დღეს სადგურ სოფინსგზაში (აღმ.-ჩინეთის რკინისგზის აღმოსავლეთის ხაზი) პოლიციამ დაპატიმრა კომერციული საგენტის მოლარე საბჭოთა მოქალაქე **ხოკოლოვი;** სადგურ ტაპინლინში დაპატიმრებულია სადგურის უფროსი საბჭოთა მოქალაქე **მიხაილოვი.**

როგორც სადგურ პოგრანიჩნაიადან იტყობინებიან, იმავე 16 აგვისტოს მანჯურიის პოლიციამ გაიხრიკა აღმ.-ჩინეთის რკინისგზის მოხელის საბჭოთა მოქალაქის **მალჩენკოს ბინა** (ადს).

საბჭოთა კავშირის კოზიციები განუწყვეტლივ მტკიცდება.

**პარიზ

ეროვნული ბიბლიოთეკა

1934 წლის საშემოდგომო თესვის გეგმის შესახებ

საქართველოს სახკომსაბჭოს და საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილება

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო და საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტი ადგენენ:

1. 1934 წლის საშემოდგომო თესვის გეგმა განისაზღვროს 271.520 ჰექტარის როდენობით, აქედან: საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის სისტემის

კულტურები	საბჭოთა მეურნეობებში	ოჯახურ მეურნეობებში	ამათ შორის სამ.-სატრ. სადგურების ტრაქტ. სადგურებსა და მიწისქვეშა კოლ.-ებში	ოჯახურ მეურნეობებში	სულ საკომეურნეო სექტორში	სულ
1	2	3	4	5		
ხორბალი	11.540	85.410	61.990	146.820	231.730	243.270
ქერი	3.090	6.100	4.360	12.420	18.520	21.610
ჭვავი	130	1.260	820	620	1.880	2.010
სულ მარცვლეული	14.760	92.770	67.170	159.860	252.130	266.890
ბაკვები ბალახები	630	1.210	1.200	40	1.250	1.880
საკვები ძირხვეული	70	—	—	—	—	70
საკვები ძირხვეული ბოსტნეული	870	940	860	1.870	2.810	2.680
სულ ნათესები	15.830	94.980	69.230	160.770	255.690	271.520

2. დაწესებულ იქნეს 1934 წლის შემოდგომაზე მრავალწლოვან ხარგავთა (ალნეებისა და რეზონტის და 1935 წლის გაზაფ

	საბჭოთა მეურნეობებში	ოჯახურ მეურნეობებში	ამათ შორის სამ.-სატ. სადგურების მიერ	ოჯახურ მეურნეობებში	სულ
1	2	3	4	5	
1. ალვასენების გაშენება	90	13	13	103	
2. ხეხილის ბაღების გაშენება	40	245	105	285	
3. ხეხილის სანეკეგე ის გაშენება	6	—	—	6	
4. კენკროვნების დარგნის გაშენება	—	130	116	130	
5. სუბტროპ. ხეხილის გაშენება	20	—	—	20	
6. ბამბუკის	31	—	—	31	
7. ხეხილის სანამყენე თესვა	6	9	6	15	
8. ვენახების რეკონტი	227	5	5	232	
9. სეიფლის ბაღების რემონტი	90	74	23	164	
10. ალენ. ვენახის სადედეების რემონტი	55	11	8	66	
11. სუბტროპიკულ ხეხილის ბაღების რემონტი	9	—	—	9	
12. ნიადაგის მომზადება 1935 წ ვენახებისათვის	—	202	130	202	
13. „ „ „ ხეხილის ბაღებ.	71	880	690	951	
14. „ „ „ ამერიკ. ვაზის სადედეებისათვის	—	40	40	40	
15. „ „ „ ხეხილის სახერგეე ბიაცათვის	16	12	11	28	

3. დამტკიცებულ იქნეს საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის მიერ წარმოდგენილი საშემოდგომო კულტურების თესვისა, მრავალწლოვანი ნარგავების გაშენებისა და რემონტის და ნიადაგის მომზადების განაწილების გეგმა რაიონებისა, კულტურებისა და სექტორების მიხედვით.

4. გამოყოფილ იქნეს კოლექტიურ მეურნეობათა თესვის გეგმიდან 3470 ჰექტ. შემოდგომის ქერი კოლექტიურ მეურნეობათა სასაქონლო ფერმების მტკიცე საკვები ბაზისის სახით და განთავისუფლებულ იქნეს ეს ნათესები სახელმწიფოსათვის მარცვლეულის ვალდებულებიდან და სხვა ნატურალური ჩაბარებისაგან.

5. დაწესებულ იქნეს 1934 წლის შემოდგომის სახ.-სამ. კომპანიის დროს განსახორციელებლად შემდეგი სავალდებულო ღონისძიებანი, რასაც გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მოსავლიანობის გადიდების საქმეში:

თესლის ბრუნვა

6. დაევალოს სარაიონო სამეწყობოო-მოქმედო განყოფილებებს და სამ.-სატრ. სადგურებს იმ კოლმეურნეობებში, სადაც 1933 და 1934 წლებს დაწესებული იყო თესლთბრუნვა, საშემოდგომო თესვის და მძრალად მოხვნის გეგმა განსაზღვრონ მიღებული თესლთბრუნვის შესაბამისად.

რათა საშემოდგომო კულტურების თესვა და მძრალად მოხვნა ჩატარებულ იქნეს თესლთბრუნვის შესაბამისად, იმ კოლმეურნეობებში, სადაც თესლთბრუნვა შემოღებულია, მიწათმოწყობა დამთავრდეს არა უგვიანეს ა.-წ. სექტემბრის 1-ისა

ამის და მიხედვით, თუ რა ფიზიკური თვისებები ახასიათებს მათს ქანებს, რომლადაც შესდგება ბუდობა, დედამიწის ზედაპირზე ადგილი აქვს მთელ რიგ სხვადასხვა მოვლენებს. ასე, მაგალითად, ჩვენს ბალთა, რომელსაც ახასიათებს ძლიერი მაგნეტიტი, განმტკიცდა. იწვევს დედამიწის ნოყიერი მაგნეტიტ არეს შეიყვანას. დედამიწის მაგნეტიზმის ანომალია ასეთ შემთხვევებში ზოგჯერ იმდენად დიდია, რომ კომპასს მაგნეტიტი-ანარი თავისი ჩრდილოეთის ბოლოთი სამხრეთს ეჩვენებოდეს.

თუ ბუდობები მის შემცველ ქანებიდან განირჩევა წვეტიანი წერტილ. მაშინ მათი თანყოფაა მეორეხარისხა სიმძიმის ძალის მეტ ნაკლები ცვალებადობით დედამიწის ზედაპირზე ხეთერიდან წონის სხვადასხვა, ბუდობის სიდიდის და მდებარეობის სიღრმის შესაბამისად.

სიმძიმის ძალის ანომალიის სათანადო სიზუსტით განსაზღვრა ერთად ერთ რიგ შემთხვევებში შეიძლება. გამოანგარიშებულ იქნას, არა მარტო ბუდობის სიდიდე, არამედ აგრეთვე მოიხაზოს მისი საზღვრები, და გაირკვეს ბუდობის სიღრმე.

სხვადასხვა ადგილებში დოლომიტი, ანალიზი, ფოსფორიტი, ვერცხლისწყალი, ანტიმონი, ბარიტი, ბორაქსი, ბაზალტი, ბაზალტ-ბალახი, ფუ, ფერადფერ თეფშებიანი ფარცხის ხმარებას.

ჩატარებულ იქნეს გაფხვიერება უშუალოდ თესვის წინ; ამასთანავე მიღწეულ უნდა იქნეს ხნულის სრული მომზადება და მოსწორება; იმ ნაკვეთებზე, სადაც თესვა განზრახული ბოლოს, თესვისწინა გაფხვიერება ჩატარებულ იქნეს თესვის წინ უშუალოდ—ისე, რომ მიღწეულ იქნეს მხოლოდ საჭირო მომზადება და არა ხნულის ზედაპირის მოსწორება; განზრახული თესვის დროს თესლის სათანადო სიღრმეზე მოთავსება უნდა სწარმოებდეს წინასწარ ან შემდგომი კულტივაციით და ფარცხვით.

11. ჩატარებულ იქნეს თესვისწინა გადაბნევა 8-10 დღით ადრე თესვის დაწყებამდე; ათოფილი ნაკვეთების ძირითადი მოხვნა ჩატარებულ იქნეს 12-15 დღით ადრე თესვის დაწყებამდე.

12. ჩატარებულ იქნეს ყველგან ხნულის გაწმენდა სიმინდისა და მზეუკვერიტას ღერიანებისა და ფესვებისგან (ღრმა ჩახვნით ან ხელით ამოგლეჯით), ბუჩქებისაგან (ამოძირკვა) და ქვებისაგან; ყველაზე უფრო მაუნებელი მრავალ ალოვანი სარეველა ბალახნი ამოგლეჯა, მიჯნებისა და გზების კიდურების მოთიბვა და მოხვნა, არხების შემოვლებვა, ხნულის მასლოობლად მდებარე ცარიელი ადგილების მოთიბვა და გადახვნა და ფესვიანი სარეველა ბალახის და ბაძგის (მაღალი ბალახი) ფესვების აუცილებელი დაწვა, უკეთუ ბაძგი საკონლის საკვებად არ ვარგა.

13. აუცილებლად ჩატარებულ იქნეს სარწყავ ნაკვეთებზე ნიადაგის მოსწორება თესვის დაწყებამდე.

თესვის ვადები

14. საშემოდგომო პურეულის თესვა ჩატარებულ იქნეს შემდეგ ვადებზე:

ა) ახალციხისა, ადიგენისა, ასპინძისა, სტალინისისა, კასპისა, ბორჯომისა, თელავისა, ტფილისისა, დუშეთისა, აღმოსავლეთა, საგარეჯოს, ბაშკიჩეთისა და თიანეთის რაიონებში და სამხრეთ-ოსეთის ავტ. ოლქში ა.-წ. სექტემბრის 15-დან ოქტომბრის 15-მდე;

ბ) გორის რაიონში — ა.-წ. აგვისტოს 25-დან ოქტომბრის 15-მდე.

გ) გურჯაანისა, სიღნაღისა, ყვარელისა, ლაგოდეხისა, ლუსქემბურგისა, ყარაიას და ბორჩალოს რაიონებში ა.-წ. სექტემბრის 20-დან ოქტომბრის 25-მდე.

15. წინადადება მიეცეს სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებსა და საქ. კ.პ. (ბ) რაიონულ კომიტეტებს, აგრეთვე სამხრეთ-ოსეთის ავტ. ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს და საქ. კ.პ. (ბ) სამხრეთ-ოსეთის საოლქო კომიტეტს — დაადგინონ თესვის დაწყებისა და დამთავრების ვადები რაიონის ფარგლებში ცალკეულ მასივებზე და ნაკვეთებზე, სოფლებზე და კოლმეურნეობებზე — ნიადაგისა, კლიმატიური და სხვა პირობების მიხედვით.

წინადადება მიეცეს საქ. კ.პ. (ბ) სამხრეთ-ოსეთის საოლქო კომიტეტს, პარტიის რაიონულ კომიტეტებს, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს, სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს, სარაიონო სამეწყობოო-მოქმედო განყოფილებებს და სამ.-სატრ. სადგურების დირექტორებს და პოლიტგანყოფილებებს — გარდაქმნან დაუყოვნებლივ მუშაობა ისე, რომ საეხლებით უზრუნველყოფილ იქნეს თესვის გეგმის დადგენილ ვადებზე შესრულება და გაშალონ დაუყოვნებლივ საანეულო ხვნა და ნიადაგის მოამზადება საშემოდგომო თესვისათვის,

თესვის ნორმები

16. წინადადება მიეცეს სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებსა და საქ. კ.პ. (ბ) რაიონულ კომიტეტებს, აგრეთვე სამხრეთ-ოსეთის ავტ. ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს და საქართველოს კ.პ. (ბ) სამხრეთ-ოსეთის საოლქო კომიტეტს — განსაზღვრონ საშემოდგომო პურეულის მწკრივად და გაბნევით თესვის ისეთი ნორმები, რაც უზრუნველყოფს ყანის სათანადო სიხშირეს თესლის ჯიშისა, ხარისხისა, ნიადაგისა და სხვა პირობების მიხედვით, და განახორციელონ ეს ნორმები სავალდებულო აგროწესების სახით.

მწკრივად თესვა

17. ჩატარებულ იქნეს საშემოდგომო მარცვლეულის მწკრივად თესვა 43.250 ჰექტ. ფართობზე; აქედან: საბჭოთა მეურნეობებში ნათესების მთელ ფართობზე — 14.660 ჰექტ., კოლმეურნეობებში — 28.590 ჰექტ., მათ შორის სამ.-სატრ. სადგურების მიერ მომსახურეობა-გასაწევ კოლმეურნეობებში — 26.170 ჰექტ.

თესლის გაწმენდა და შეწამლვა

18. ჩატარებულ იქნეს საბჭოთა მეურნეობებისა, კოლექტიური მეურნეობებისა და ერთპიროვნული მეურნეობების მთელი სათესი მასალის სავალდებულო გაწმენდა წინასწარ გამნიავებელ - დამხარისხებლებზე და შემდეგ — ტრიერებზე, და შეწამლვა; დაუყოვნებლივ დაწყებულ იქნეს თესლის გაწმენდა და მშრალი წესით შეწამლვა და დამთავრდეს 15-20 დღით ადრე თესვის დაწყებამდე; გაწმენდისა და მშრალი წესით შეწამლვა მუშაობა მოეწყოს ისე, რომ შეწამლვა სწარმოებდეს უშუალოდ მარცვლის გაწმენდის შემდეგ.

დაევალოს საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს — უზრუნველყოს თავის დროზე სასოფლო საბჭოები გამნიავებელ - დამხარისხებლებით.

19. ერთპიროვნულ მეურნეობათა თესლის გაწმენდისა და შეწამლვის უზრუნველსაყოფად დაევალოს სასოფლო საბჭოებს შეიძენონ გამნიავებელ - დამხარისხებლები, ტრიერები, შემწამლველები და შესაბამი სათანადო რაოდენობით და მოაწყონ მარცვლისაწმენდი სტაციონალური და მოძრავი პუნქტები, აღნიშნულ ღონისძიებათა ჩატარებისათვის საჭირო სახსარი გამონახულ იქნეს ერთპიროვნული მეურნეობებისათვის მიზნობრივი შენატანის დადგენით.

ხარისხოვანი თესლით საშემოდგომო ხორბლის თესვა და მეთესლეობის ნათესები კოლმეურნეობებში

20. ჩატარებულ იქნეს ხარისხოვანი თესლით დათესვა საშემოდგომო ხორბლისა: „უკრაინკა“ — 11.850 ჰექტარზე, „კოპეტრატორკა“ — 15.270 ჰექტ. „დოლის პური“—80 ჰექტ., „ბელათის პური“—500 ჰექტ. „აპულიკუმი 77-2“ — 200 ჰექტ. სულ — 27.900 ჰექტ. აქედან სახ. ხარისხ. ფონდის ხაზით: „უკრაინკა“ — 1.400 ჰექტ. „კოოპერატორკა“ — 1.520 ჰექტ „დოლის პური“ — 80 ჰექტ. „ბელათის პური“ — 100 ჰექტ., „აპულიკუმი 77-2“—200 ჰექტ. სამ.-სატრ. სადგურთა ფონდის ხაზით: „უკრაინკა“, „კოოპერატორკა“ და „ბელათის პური“ — 3.000 ჰექტ.

21. განისაზღვროს სახ ხარისხ. ფონდის მეთესლეობის ნათესები საკვები ბალახეულისა — 400 ჰექტარის რაოდენობით (ოონჯა 200 ჰექტ. და შემოდგომის ცერცველა 200 ჰექტ.) და ბოსტნეული კულტურებისა 125 ჰექტარის რაოდენობით.

22. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს — შეიმუშაოს საკითხი ხარისხოვანი ქერის თესლის შთანერგვის შესახებ, შესაცვალოს რა მცირემოსავლიანი და დაბალტანოვანი ჯიშები ორრიგოვანი ქერისა სათანადო დიდმოსავლიანი ოთხრიგოვანი და ექვსრიგოვანი ქერის თესლით. აგრეთვე დაუყოვნებლივ გამოარკვიოს საკითხი დაბალხარისხოვანი ქერის მაღალხარისხოვანი ქერის თესლზე მარცვლის შესაძლებლობის შესახებ.

მავნებლებთან ბრძოლა

23. ჩატარებულ იქნეს მინდვრის თაგვებთან ბრძოლა 107.300 ჰექტარზე.

24. დაევალოს საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს — ჩატაროს გამოკვლევა იმ ფაროობებისა, სადაც მოდებულია სოფლის მეურნეობის მავნებლები: კალია, ველის-ფარვანა, კარადრინა, ჩორი და ბრუ

25. ჩატარებულ იქნეს საბჭოთა, კოლექტიურ და ერთპიროვნულ მეურნეობებში ბელლის მავნებელთა გამოკვლევა და ტაპებისა, ცხვირგრძელა ვიისა და სხვა მავნებელთა აღმოჩენის შემთხვევაში განსთრიელდეს ბელლებისა და მარცვლის დეზინფექცია 100 პროცენტით.

ამასთანავე, საბჭოთა, კოლექტიურ და ერთპიროვნულ მეურნეობებში ჩატარებულ იქნეს ყველა ბელლის დეფრატიზაცია (ვირთაგვებთან ბრძოლა).

თესლის სასოფლო-სამეურნეო ვარგისიანობის შემოწმება

26. ჩატარებულ იქნეს საშემოდგომო ხორბლისა და ქერის თესლის მთელი დასათესი რაოდენობის სასოფლო-სამეურნეო ვარგისიანობის (აღმოცენებისა და დანაგვიანების) შემოწმება.

27. საბჭოთა მეურნეობებში თესლის სასოფლო-სამეურნეო ვარგისიანობის შემოწმების მიზნით დაევალოს საბჭოთა მეურნეობების შენაერთებს — მოაწყონ ყველა საბჭოთა მეურნეობანი თესლის საკონტროლო ლაბორატორიები.

28. დაევალოს სამხრეთ-ოსეთის ავტ. ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს, ახალციხისა, სტალინისისა, გორისა, კასპისა, გურჯაანისა, სიღნაღისა, ყვარლისა, ლაგოდეხისა, საგარეჯოს, ლუქსემბურგისა, ბორჩალოს, თიანეთისა და ენუქიძის სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს — მოამზადონ და მოაწყონ არა უგვიანეს ა.-წ. აგვისტოს 15-ისა თესლის საკონტროლო ლაბორატორიები კოლექტიურ და ერთპიროვნულ მეურნეობათა თესლის სახ.-სამ. ვარგისიანობის შესამოწმებლად, თავიანთ რაიონში თესლის სახ.-სამ. ვარგისიანობის შემოწმებასთან ერთად დაეკისროს ამ ლაბორატორიებს მეზობელი რაიონთა მომსახურეობაც. სახელდობრ:

ახალციხის თესლის საკონტროლო ლაბორატორიას — ადიგენისა და ასპინძის რაიონებისა,

სტალინისის თესლის საკონტროლო ლაბორატორიას — ბორჯომის რაიონისა.

ლუქსემბურგის თესლის საკონტროლო ლაბორატორიას — ბაშკიჩეთის რაიონისა.

ენუქიძის თესლის საკონტროლო ლაბორატორიას — ცაგერის და ონის რაიონისა.

სტალინისის თესლის საკონტროლო ლაბორატორიას — სამხრეთ-ოსეთის ავტ. ოლქის ყველა რაიონისა.

დაევალოს სახ. ხარისხ. ფონდს მოაწყოს თელავის სათესლე ბაზისთან თესლის საკონტროლო ლაბორატორია, რომელსაც დაეკისროს თელავის რაიონის მომსახურეობა.

ამს. ლ. ბერიას სახელობის ყარაიას საბჭოთა მეურნეობის თესლის საკონტროლო ლაბორატორიას დაეკისროს მთელი ყარაიას რაიონის მომსახურეობა.

29. დაეკისროს საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს:

ა) 5-4 კვირანი კურსების მოწყობა რაიონებისა და საბჭოთა მეურნეობების თესლის საკონტროლო ლაბორატორიებისათვის აგრომუშაკების გარდასამზადებლად;

ბ) თესლის საკონტროლო ლაბორატორიების მეთოდოლოგიური ხელმძღვანელობა;

გ) ყველა ლაბორატორიის უზრუნველყოფა ინსტრუქციებით, ბლანკებით და ხელსაწყოებით, რაც საჭირო იქნება ლაბორატორიებში მიდებული ნიმუშების ანალიზების ჩასატარებლად.

ნაკელის შეტანა

30. დაწესებულ იქნეს შემოდგომის სახ.-სამ. კამპანიის დროს ნაკელის შეტანის გეგმა, მისი აუცილებელი ჩასვნით 168.200 ურმის რაოდენობით. ნაკელი პირველყოვლისა შეტანილ უნდა იქნეს ბოსტნეულისა, ბამბისა და შაქრის ჭარხლის კულტურებსა და ვენახებში.

საგაზაფხულო კულტურებისათვის ნიადაგის მძრალად მოხვნა

31. ბამბისათვის ნიადაგის მძრალად მოხვნა ბორჩალოს რაიონში ჩატარებულ იქნეს 3.000 ჰექტარ ფართობზე; აქედან: სამ.-სატ. სადგურების მიერ მომსახურეობა-გასაწევ კოლექტიურ მეურნეობებში — 2.200 ჰექტ. და ერთპიროვნულ მეურნეობებში — 800 ჰექტ.

მძრალად მოხვნა ბამბისათვის ჩატარებულ იქნეს 18-20 სანტიმეტრის სიღრმეზე და დამთავრდეს არა უგვიანეს ა.-წ. ნოემბრის 15-ისა.

32. შაქრის ჭარხლისათვის მძრალად მოხვნა ჩატარებულ იქნეს 5.000 ჰექტარ ფართობზე; აქედან: სამ.-სატრ. სადგურების მიერ მომსახურეობა-გასაწევ კოლექტიურ მეურნეობებში — 4.300 ჰექტარზე და ერთპიროვნულ მეურნეობებში — 700 ჰექტ.; შაქრის ჭარხლისათვის მძრალად მოხვნა ჩატარებულ იქნეს 20-22 სანტიმეტრის სიღრმეზე და დამთავრდეს არა უგვიანეს ა.-წ ნოემბრის 15-ისა.

33. თამბაქოსათვის ნიადაგის მძრალად მოხვნა აღმოსავლეთ საქართველოს რაიონებში ჩატარებულ იქნეს 3.680 ჰექტარის ფართობზე; აქედან: სამ.-სატრ. სადგურების მიერ მომსახურეობა-გასაწევ კოლმეურნეობებში — 2.755 ჰექტ. და ერთპიროვნულ მეურნეობებში — 925 ჰექტ.; თამბაქოსათვის მძრალად მოხვნა ჩატარებულ იქნეს 18 სანტიმეტრის სიღრმეზე და დამთავრდეს არა უგვიანეს ა.-წ. ნოემბრის 15-ისა.

34. სხვა საგაზაფხულო კულტურებისათვის მძრალად მოხვნა ჩატარებულ იქნეს 88.140 ჰექტარ ფართობზე; აქედან: საბჭოთა მეურნეობებში — 8.740 ჰექტ., კოლექტიურ მეურნეობებში — 41.850 ჰექტ.: მათ შორის—სამ.-სატრ. სადგურების მიერ მომსახურეობა-გასაწევ კოლმეურნეობებში — 36.265 ჰექტ. და ერთპიროვნულ მეურნეობებში — 37.550 ჰექტ.

მძრალად მოხვნა პირველ რიგში ჩატარებულ იქნეს ბოსტნეულისა, კარტოფილისა, მზესუფლეგლისა და მარცვლეულის კულტურებისათვის 18-20 სანტიმეტრის სიღრმეზე; მძრალად მოხვნა ყველა რაიონში დამთავრდეს არა უგვიანეს ა.-წ. ნოემბრის 15-ისა.

სა— მძრალად მოხვნა ჩატარებულ იქნეს 100.220 ჰექტარ ფართობზე; აქედან: საბჭოთა მეურნეობებში — 8.740 ჰექტ., კოლექტიურ მეურნეობებში — 46.805 ჰექტ.; მათ შორის სამ.-სატრ. სადგურების მიერ მომსახურეობა-გასაწევ კოლმეურნეობებში — 41.220 ჰექტ. და ერთპიროვნულ მეურნეობებში — 44.657 ჰექტ.

მარცვლეულის სათესლე და სადაზღვევო ფონდები

35. სათესლე ფონდების დაგროვების გეგმა კოლმეურნეობებში განისაზღვროს:

საშემოდგომო ხორბლისა	134.850	ცენტნ
საშემოდგომო ქერისა	9.827	„
საგაზაფხულო ხორბლისა	35.700	„
საგაზაფხულო ქერისა	49.440	„
ასლისა	2.760	„
ფეტვისა	570	„
შვრიისა	1.400	„
სულ	234.560	ცენტნ

მათ შორის სახ.-სატრ. სადგურების მიერ მომსახურეობა-გასაწევ კოლმეურნეობებში — 138.117 ცენტნ.

36. 15 პროცენტიანი სადაზღვევო ფონდების დაგროვების გეგმა კოლექტიურ მეურნეობებში და ერთპიროვნულ მეურნეობებში დამტკიცებულ იქნეს: საშემოდგომო ხორბლეულისა — 52.758 ცენტნ., საშემოდგომო ქერისა — 4.827 ცენტნ., საგაზაფხულო ხორბლისა — 16.040 ცენტნ. საგაზაფხულო ქერისა — 23.560 ცენტნ., ასლისა — 2.130 ცენტნ., ფეტვისა — 180 ცენტნ., შვრიისა — 460 ცენტნ.. ხოლო სულ — 99.460 ცენტნ.

37. სათესლე და სადაზღვევო ფონდების დაგროვება დაწესებულ იქნეს ყველგან ბალეწვის დასრულებამდე და დამთავრდეს: გურჯაანისა, სიღნაღისა, თელავისა, ყვარლისა, ლაგოდეხისა, ბორჩალოს, ლუქსემბურგისა, საგარეჯოს, კასპისა, ახალციხისა, ადიგენისა, ტფილისისა, ყარაიას, სტალინისა, გორისა, წალკისა, ფშავთისა, აღმოსავლახისა, ბაშკიჩეთისა, ბორჯომისა, ენიოფერისა, ცაგერისა, ონისა და ენუქიძის რაიონებში და სამხრეთ-ოსეთის ავტ. ოლქში — არა უგვიანეს ა.-წ. სექტემბრის 15-ისა, ხოლო ახალქალაქისა, ბოგდანოვკისა, ტოლოშისა და ხევის რაიონებში — არა უგვიანეს ა.-წ. ოქტომბრის 1-ლისა.

38. წინადადება მიეცეს სამხრეთ-ოსეთის ავტ. ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს, სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს და სამ. სატრ. სადგურების დირექტორებს გამოარკვიონ ერთი თვის ვადაზე წინა წლების ბალეწვის ბალეწვიანობა. ამ ბალეწვიანობის ბალეწვიანობა

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბჭოთა მწერლების საკავშირო ყრილობა

საბჭოთა ლიტერატურა — ყველაზე უფრო იდეური, ყველაზე უფრო მოწინავე ლიტერატურაა მსოფლიოში

ამხ. ა. ა. ჟდანოვის სიტყვა

ამხანაგებო, თქვენი ყრილობა იკრიბება ისეთ პირობებში, როცა უკვე გადალახულია ის ძირითადი სიძნელეები, რომლებიც წინ გვეღობება სოციალისტური მშენებლობის გზაზე, როცა ჩვენმა ქვეყანამ დაამთავრა სოციალისტური ეკონომიკის საძირკველის ჩაშენება, — ეს კი დაკავშირებულია ინდუსტრიალიზაციასა, საბჭოთა მეურნეობების და კოლმეურნეობების მშენებლობის პოლიტიკის გამარჯვებასთან.

თქვენი ყრილობა იკრიბება ისეთ პერიოდში, როცა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, ჩვენი დიდი ბელადის და მასწავლებლის ამხანაგ სტალინის (მეტუხარი ტაში) გენიალური წინამძღოლობით ჩვენს ქვეყანაში სამუდამოდ და საბოლოოდ გაიმარჯვა სოციალისტურმა წყობამ.

საბჭოთა კავშირი გადაიქცა მოწინავე ინდუსტრიულ ქვეყნად, მსოფლიოში ყველაზე უფრო მსხვილი სოციალისტური მეწარმეობის ქვეყნად, საბჭოთა კავშირი გადაიქცა მოწინავე სოციალისტური კულტურის ქვეყნად, რომელშიაც დიდებულ თაოსნურად იშლება და იზრდება ჩვენი საბჭოთა კულტურა.

პარტია ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით რაზმავს მასებს კაპიტალისტური ელემენტების საბოლოო ლიკვიდაციისათვის საბრძოლველად, ეკონომიკასა და ადამიანთა შეგნებაში კაპიტალიზმის ნაშთების გადალახვისა და სახალხო მეურნეობის ტექნიკური რეკონსტრუქციის დამთავრებისათვის საბრძოლველად.

კაპიტალიზმის ნაშთების გადალახვა ადამიანთა შეგნებაში ნიშნავს ბრძოლას ბოლოტარიატზე ბურჟუაზიული გავლენის ყოველგვარი ნაშთების, უთაურობის, უსაქმურობის, ზარმაცობის წინააღმდეგ, ბურჟუაზიული თავაშვებულობის და ინდივიდუალიზმის, წამგლეჯველობის და საზოგადოებრივი საკუთრებისადმი არაკეთილსინდისიერი დამოკიდებულების წინააღმდეგ.

ჩვენ ხელთა გვაქვს საიმედო იარაღი ყველა ამ სიძნელის გადასალახავად, რომლებიც ჩვენს გზაზე გველობება. ამ იარაღს წარმოადგენს მარქს-ენგელს-ლენინ-სტალინის უძლეველი მოძღვრება, რომელსაც ანხორციელებენ ჩვენი პარტია და საბჭოები.

მარქს-ენგელს-ლენინ-სტალინის დიადმა დრაშამ გაიმარჯვა. სწორედ ამ დროშის გამარჯვების წყალობით შეიკრიბა აქ საბჭოთა მწერლების პირველი ყრილობა. ეს გამარჯვება რომ არ ყოფილიყო, არ იქნებოდა თქვენი ყრილობაც. ასეთ ყრილობას, როგორიც ეს ყრილობაა, ვერ შეკრებს ვერავინ. გარდა ბოლშევიკებისა (ტაში).

საბჭოთა ლიტერატურის წარმატებებს ხელი შეუწყო სოციალისტური მშენებლობის წარმატებებმა. მისი ზრდა არის ჩვენი სოციალისტური წყობილების წარმატებებისა და მიღწევების გამოხატულება. ჩვენი ლიტერატურა ყველაზე უფრო ახალგაზრდაა ყველა ხალხებისა და ქვეყნების ლიტერატურას შორის. ამასთან ერთად იგი წარმოადგენს ყველაზე უფრო იდეურ, ყველაზე უფრო მოწინავე და ყველაზე უფრო რევოლუციურ ლიტერატურას.

არ არის და არასოდეს არ ყოფილა ლიტერატურა, გარდა საბჭოთა ლიტერატურისა, რომელიც რაზმავდეს მშრომელებს და ჩაგრულებს ყველა და ყოველგვარი ექსპლოატაციის და დაქირავებული მონობის უღლის საბოლოო მოსპობისათვის საბრძოლველად.

არ არის და არასოდეს არ ყოფილა ისეთი ლიტერატურა, რომელიც თავისი ნაწარმოებების თემატიკას საფუძვლად უდებს მუშათა კლასის და გლეხობის ცხოვრებასა და მათ ბრძოლას სოციალიზმისათვის.

არ არის არსად მსოფლიოს არც ერთ ქვეყანაში ისეთი ლიტერატურა, რომელიც იცავდეს ყველა ერის შრომელთა თანასწორუფლებიანობას; იცავდეს ქალთა სწორუფლებიანობას.

არ არის და არც შეიძლება იყოს ბურჟუაზიულ ქვეყანაში ისეთი ლიტერატურა, რომელიც თანამიმდევრობით ამსხვრევდეს ყოველგვარ სიბნელეს, ყოველგვარ მიხტიკას, ყოველგვარ ხუცობას და ემმაკეულობას, როგორც ამას ჩვენი ლიტერატურა ჩადს.

ასეთ მოწინავე იდეურ-რევოლუციურ ლიტერატურად გადაქცევა შეეძლო და სრულდებოდა ჩვენ ლიტერატურაში. ეს — ჩვენი სოციალისტური მშენებლობის სისხლი სისხლთაგანი და ძვალი ძვალთაგანი (ტაში).

საბჭოთა ლიტერატორებმა უკვე შექმნეს მრავალი ნიმეიერი ნაწარმოებები, რომლებიც სწორად და მართლად ხატავენ ჩვენი ქვეყნის საბჭოთა ცხოვრებას. არის მთელი რიგი სახელები, რომლებითაც ჩვენ შეგვიძლია და უფლება გვაქვს ვიამაყოთ. ძარცვა, ტიტის ხელმძღვანელობით, ცენტრალური კომიტეტის გულისხმიერი და ყოველდღიური ხელმძღვანელობით და ამხანაგ სტალინის დაუღალავი დახმარებით და ხელის შეწყობით საბჭოთა ხელისუფლების და პარტიის გარშემო დაირაზმა საბჭოთა ლიტერატორთა წთელი მასა.

და აი, ჩვენი საბჭოთა ლიტერატურის წარმატებთა ფონზე სულ უფრო და უფრო ცხადი ხდება მთელი მოპირდაპირეთა ჩვენს წყობილებასა, გამარჯვებული სოციალიზმის წყობილებასა, და მომაკვდავი, ლპობის გზაზე დამდგარი კაპიტალიზმის წყობილების შორის.

ბურჟუაზიული კულტურის დაცემისა და ლპობისათვის დამახასიათებელია თარეში მისტიციზმისა, ხუცობის, გატაცება პორნოგრაფიით.

ბურჟუაზიული ლიტერატურის „წარჩინებულ ადამიანებს", იმ ბურჟუაზიული ლიტერატურის, რომელმაც თავისი კალამი კაპიტალს მიჰყიდა, ამჟამად წარმოადგენენ ქურდები, როსკიპი ქალები, ჯაშუშები, ნაძირალები.

ყოველივე ეს დამახასიათებელია ლიტერატურის იმ ნაწილისათვის, რომელიც ცდილობს დაშალოს ბურჟუაზიული წყობილების ლპობა, ამოად ცდილობს დაამტკიცოს, რომ არაფერი არ მომხდარა, რომ „დანიის სამეფოში" ყველაფერი თავის რიგზეა და კაპიტალიზმის წყობილებაში ჯერ კიდევ არაფერი არ ლპება.

კაპიტალისტური ქვეყნების პროლეტარიატი უკვე ქმნის თავის ლიტერატორთა, თავის მატვართა არმიას, — რევოლუციურ მწერალთა არმიას, რომელთა წარმომადგენლებსაც ჩვენ დღეს სიხარულით მივესალმებით საბჭოთა მწერლების პირველ ყრილობაზე.

რევოლუციურ მწერალთა რაზმი კაპიტალისტურ ქვეყნებში ჯერ კიდევ არ არის დიდი, მაგრამ იგი ფართოვდება და დღითიდღე გაფართოვდება, რაც უფრო გამწვავდება კლასობრივი ბრძოლა და რაც უფრო გაიზრდებიან მსოფლიო პროლეტარული რევოლუციის ძალები.

ჩვენ მტკიცედ გვწამს, რომ ის რამდენიმე ათეული ადამიანი, ეს ბურჟუაზიული ლიტერატორები, — ეს ბოლოტიანები, წარმოადგენენ იმ პროლეტარული მწერალთა მძლავრი არმიის ბირთვს და ჩანასახს, რომელებსაც შექმნის მსოფლიო პროლეტარული რევოლუცია ოცსაოუოის ქვეყნებში (ტაში).

ასეა საქმე კაპიტალისტურ ქვეყნებში სულ სხვაა ჩვენთან.

ჩვენი საბჭოთა მწერალი მასალას თავისი მხატვრული ნაწარმოებისათვის, თემატიკას, სახეებს, მხატვრულ სიტყვას და მეტყველებას ღებულობს დღევრმშენის, მაგნტოგორსკის, ბეტონის, ელექტროსადგურების, ფაბრიკა-ქარხნების, ბოლოს, ბოლოს, ბელადის, ბოლშევიკური პარტიის, ლენინური ნაციონალური ინტერნაციონალის, ... ინტელიგენტ - ტექნიკოსთა სახელით ... ინსტიტუტის, ...

ახალი გამოგონება

საქ. მუშა-გამომგონებელთა საზოგადოებამ უკანასკნელ ხანებში ფართოდ გაშალა მუშაობა მუშათა გამოგონებებისა და რაციონალიზატორული წინადადებების რეალიზაციის შესამოწმებლად. შემოწმების ჩატარებამ წაახალისა მუშა-გამომგონებლები, რომლებმაც გააძლიერეს ახალი წინადადებებისა და გამოგონებების წარმოდგენა.

რკინისგზელმა გამომგონებელმა მუშამ ამხ. სოლოლაშვილმა (სადგ. ბორჯომი) წარმოადგინა ახალი გამოგონება, ე.წ. საკონტროლო აპარატი, რომლის საშუალებითაც შესაძლებელია რკ. გზის სალიანდაგო ისრის გადაყვანა მაშინაც კი, როცა ლიანდაგზე მატარებლის შემადგენლობა დგას. ამ გამოგონების რეალიზაციას დიდი მნიშვნელობა აქვს სადგურებზე მატარებლების მანევრირების დასაჩქარებლად, რადგან საჭირო აღარ იქნება მატარებელთა შემადგენლობების დიდ მანძილზე ტარება ერთი

ლიანდაგიდან მეორეზე გადასაყვანად. ამხ. სოლოლაშვილის გამოგონება მოწონებულია.

სურათზე: მუშა-გამომგონებელი ამხ. სოლოლაშვილი თავისა გამოგონებული აპარატით.

ბიბლიოგრაფია

„ლიტერატურული აჯარისტანი“

ამ სახელწოდებით ბათომში გამოიცა კრებული, **მიძღვნილი საბჭ. მწერლების სრულიად საკავშირო ყრილობისადმი.** კრებულში თავმოყრილია აჯარისტანის ძველ და ახალ მწერალთა შემოქმედების ნიმუშები. ამდენად იგი საინტერესოა, როგორც საქ. კ.პ. (ბ) ც. კ-ის 23 აპრილის დადგენილების გატარების შედეგი აჯარისტანის ლიტერატურულ ცხოვრებაში.

გაამართლა თუ არა კრებულმა თავისი თავი.

შეუძლებელია ამ კითხვაზე დადებითად არ ვუპასუხოთ. მაგრამ შეუძლებელია გვერდი აუაროთ კრებულის მთელ რიგ უარყოფით მხარეებსაც.

ამ კრებულში წარმოდგენილ 19 ავტორს შორის მაღალი მხატვრული ღირსების მწერლები თითქმის არ არიან. გამონაკლისად შეიძლება მიჩნეული იქნას მხოლოდ ამხ. **ჰ. ლორია** (ჰ. ობოლი), რომლის ნარკვევი **„ნავთის სამფლობელოში“** უთუოდ კარგადაა გაკეთებული. მასში ჩაქსოვილია მოვლენის განცდა და ამით გამოწვეული ენერგიზმი. ამ ნარკვევში ლორია სხარტად და ცოცხლად გვესაუბრება ბათომის ნავთის გადამამუშავებელი ქარხნების ისტორიასა და მის დღევანდელ რაობაზე. მაგრამ ნაკლი, რასაკვირველია, მასაც აქვს. შეიძლებოდა ამ ნარკვევის უფრო გაშლა, ქარხნების შენების ისტორიის უფრო დაკონტრეტება.

კრებულში წარმოდგენილი ავტორებიდან შეიძლება გამოიყოს აგრეთვე ორი ფიგურა. ერთი—მუშა პოეტი **პ. ოდიშელი** (რურუა) და მეორეც ახალგაზრდა ამხანაგი **მანიძე.**

რურუას, როგორც ამ კრებულშივე მოთავსებულ კრიტიკულ წერილში ვკითხულობთ, „მწერლობის საკმაოდ ვრცელგზა“ **გაუვლია.** მიუხედავად ამისა იგი „ლიტერატურულ აჯარისტანში“ სუსტადაა წარმოდგენილი. ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს მისი ლექსი—„**სოფელი დღეს**“. „მაისის ღილის ნიავი ბრილი. მთების ჩანჩქერი ძირს ჩამოღვრილი. ვრცელი ყანები, ბაღი ხეხილის, უბვად გულმკერდი გადაღეღილი... ციმციმა ცვარი, ზამბახის ყური, ხმები ურმულის. ტკბილ საამური. **ფხიანი ოთხი პირმოპირული“...** — ხედავდენ მარტო ამათ თანამედროვე სოფლებში, ეს იმას ნიშნავს, რომ შენ ეპოქისაგან ჩამორჩი ამ ჩამორჩენას ოდიშელი აუშკარავებს აქ წარმოდგენილ სხვა ლექსებთაც (მაგ. „ბრძოლის სმენერა“) იგი აგრეთვე მოიკოკლებს მართლწერის საკითხში.

ასე არ შეიძლება ითქვას ვ. **მანიძეზე,** რომლის ლექსებთაც იხსნება „ლიტერატურული აჯარისტანი“. ლექსი- **შმდგის ბანაკში კარავს კი არა ქალაქებს გავშლიან“,** ახალგაზრდა ავტორის ნიჭის სასარგებლოდ მეტყველებს უთუოდ.

დანარჩენი 16 კაცი? მათ შესახებ ჯერ-ჯერობით კარგს ვერაფერს ვიტყვით.

უსუსტესია ჰროზა. მეტად სუსტადაა წარმოდგენილი ლექსთა ავტორებიც მაგალითად **ლ. ტბაურის** „სიმღერა აჯარის წყალზე“, „ჰაუსა“ და „ჰეის“ გარდა არაფერს ამბობს.

„ჰაუ, ვინ იცის მაგ შენ სიღრმეში“...
„ჰაუ, ვინ იცის მაგ ბრძოლის მკერდში“.
„ჰეი, ჩვენ ვიცით მაგ შენ სიღრმეში“...
„ჰეი, ჩვენ ვიცით მაგ ბრძოლის მკერდში“...

სასაცილო ჭარადოქსებითაა სავსე **შ. ციბელის** ლექსები.

„ვით ნიამორი მოინაზებით
არვის უცქერით ბმა განაბული“,

— მიმართავს ის აბრეშუმის ფაბრიკის (მისი სიტყვით—ქარხნის) მუშა ქალს. ციბელისავე ალმოჩენილი ასლანბეგის სასახლეში ოურმი „ფეხმარდი რბოდენ არ ჩვენი“, მისივე დაპირებით ჩვენ მალე მზეს გადავაყენებთ და მის მოადგილეა „აწჰეს დავტოვებთ“ (საბრალო ჰზეო, რომ იცოდე რას გიპირებენ „პოეტები“).

მეტად სუსტია კრებულის მეთაური წერილიც. იგი მოკლებულია კონკრეტობას, გაურბის ლიტერატურული აჯარისტანის **ინამდვილის** ჩვენებას. სავსეა ზოგადფრაზებით.

ალ. გვინჭიძე
ნ. კაპიტაძე.

შეხვედრა ფაბრიკა-სამგზარეულო

ფეხსაცმელების გიგანტის მუშებისათვის

მუშათა საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესება პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო და პროფესიული ორგანიზაციების ერთერთ ძირითად საზრუნავ საგანს წარმოადგენს. სამრეწველო გიგანტების მშენებლობასთან ერთად ახლად აგებულ ფაბრიკა - ქარხნებთან შენდება მუშათა საცხოვრებელი ბინები, კლუბები, ფაბრიკა-სამზარეულოები და სხვა კულტურულ-საყოფაცხოვრებო ნაგებობანი.

ერთ-ერთი ასეთი სამრეწველო გიგანტი — ფეხსაცმელების ფაბრიკა, ტფილისში შენდება. იგი თავისი სიმძლავრით მეორე იქნება მთელ საბჭოთა კავშირში. უკვე აგებულია აღნიშნული ფაბრიკის მთავარი კორპუსის ორი სართული. პირველად ამერ-კავკასიაში მშენებლობაზე გამოყენებულია საამქროთა გამართვის წესი მზა რკინა-ბეტონის კონსტრუქციისაგან. ფეხსაცმელების გიგანტი შესდგება 8 კორპუსისაგან, უკვე დადგმულია საშტამპო და სამკერვალო საამქროების კონსტრუქციები.

ფაბრიკასთან აიგება მუშათა საცხოვრებელი ბინები 4.000 კაცისათვის (მუშათა ბინების ასაგებ მოედნად გამოყოფილია მამუკის ხოფელი).

ფეხსაცმელების გიგანტთან შენდება ფაბრიკა - სამზარეულო 6.000 სადილის სიმძლავრით დღეში. სექტემბრიდან დაიწყება ფაბრიკის საწარმოო კორპუსების მონტაჟი, რომელიც დამთავრდება მომდინარე წლის ბოლოს.

სურათზე: ფაბრიკა - სამზარეულოს მშენებლობა ფეხსაცმელების ფაბრიკის მუშებისათვის.

მეცნიერება ტექნიკა

ალიუმინის ახალი საალმშენებლო შენადნობი

ხანგრძლივი ლაბორატორიული მუშაობის შედეგად „ამერიკის ალიუმინის კომპანიამ“ გამოუშვა ალიუმინის ახალი შენადნობი, რომელის სიმაგრე სჭარბობს ყველა არსებული შენადნობების სიმაგრეს.

ამ ლითონის გამოყენებამ მდინარე მონონგაგელაზე (პიტსბურგში) ნიდის ძველი ნაგებენის გამოცვლის დროს შესაძლებელი გახადა ნიდის წონის შემცირებ 750 ამერიკული ტონით (ამერიკული ტონა = 907,18 კილოგრამს = 55,383 ფუთს).

ახალი შენადნობი წონით არ განირჩევა ალიუმინის სხვა შენადნობებიდან, მაგრამ მას ახასიათებს საკუთარი ფოლადის თვისებები. ახალი შენადნობის ალუალ ტიპური თვისებები შემდეგია:

წონა 174 ამ. ოკ. გირვ. კუბ. ფუტზე, წინაღობა გაწყვეტაზე 61.000 კვადრ. დიუმზე, კრიტიკული წერტილი 49.000 კვადრ. დიუმზე. შედარებითი წაგრძელება 10 % დრეკადობის მოდული 10.000.000 ამერ. გირვ. კვ. დიუმზე, წინაღობა გაჭიმვაზე 37.000 ამერ. გირვ. კვ. დიუმზე.

ახალი შენადნობიდან ისე, როგორც ალიუმინის არსებული შენადნობებიდან, მზადდება სხვადასხვა ტიპის საალმშენებლო მასალები.

ახალი შენადნობიდან დამზადებული საალმშენებლო დეტალების შეკერება და დამაგრება არ წარმოადგენს სიძნელეს. ისეთი სამუშაოები სათვის, როგორიც არის გაჭრა, ნახვრეტების გაკეთება, გაბურღვა და სხვ., იხმარება იგივე ხელსაწყოები, რაც ფოლადისათვის. მხოლოდ იშვიათ შემთხვევაში შეიძლება აქ საჭიროებლობა შედუღების მეთოდით, ვინაიდან ალიუმინის შედუღების ტექნიკა გაკოცებით რთულია, ვიდრე ფოლადის.

თუ რამდენად მსუბუქია ახალი შენადნობი სჩანს იქედან, რომ მისგან გაკეთებული ძელი—8 დიუიმის სისქით და 21 ფუტი სიგრძით — იწონის მხოლოდ 104 ამერიკულ გირვანქას (ამერიკ. გირვ. = 453,39 გრამს).

მეთანის განსაზღვრა ჰაერში

შეერთებულ შტატებში დამზადეს ხელსაწყო მეთანის განსასაზღვრავად ჰაერში (მეთანი ანუ ჭაობის აირი ბუნებაში წარმოიშობა ორგანულ ნივთიერებათა უჰაეროო ლპობის დროს ნხდება აგრეთვე ქვანახშირის მაღაროებში. სადაც ჰაერთან ერთად წარმოშობს ასფოვთქველ —მაღაროს აირს) ხელსაწყოს არსებობინ ნაწილს წარმოადგენს პლატინის მავთული, რომელსაც აკუმულიატორების ბატარეიდან მიღებული დენი გარკვეულ ტემპერატურამდე ახურებს ამ მავთულისაკენ ასპირატორის საშუალებით სწოვენ ჰაერს. როგორც ჭაერში გაჩნდება მეთანი, უკანასკნელი ჟანგავს მავთულის ზედაპირზე და მისი ტემპერატურა იზრდება ტემპერატურის გადიდება იწვევს მავთულის წინაღობის გადიდებას, რასაც აღნუსხავს მგრძნობიარე მიკროამპერმეტრი. ამპერმეტრის შკალა პირდაპირ მეთანის პროცენტებს უჩვენებს. მეთანის მცირე რაოდენობის შემთხვევაში მეტი სიზუსტის მიღწევის მიზნით ხილსაწყოს აქვს ორ შკალა: ერთი—0-დან 5%-ადე, 0,1%-ის დანაყოფებით, მეორე 0-დან 2%-მდე, 0.05%-ის დანაყოფებით ხილსაწყო აღნიშნავს მეთანის თანყოფნას ჰაერში. თუნდაც მისი რაოდენობა არ აღემატებოდეს 0,05%, მუშობის სიზუსტე—0.01 %.

სურათზე: საქგზატრანსის სპეციალისტთა სახლის მშენებლობა

ევროპიუმის ატომწონის განსაზღვრა

ე. მაიერმა და პროფ. ბ. ჰოპკინსმა (ილინოისის უნივერსიტეტი, ამერიკა), განსაზღვრეს ერთ-ერთი იშვიათი და ყველაზე ნაკლებ შესწავლილი ელემენტის—ევროპიუმის № 63 პერიოდულ სისტემაში) ატომწონა. მათ მიიღეს სიდიდე 152,3 0.3-ით მეტი, ვიდრე მიღებული იყო აქამდე.

ფიზკულტურა და სპორტი

20 აგვისტოს დაძთავრდა საქალაქო ველო-შეჯიბრება ტფილისის პირველობაზე. „დინამოსა“ და პროფკავშირთა გუნდებს შორის შეჯიბრება ტრეკზე დამთავრდა 7:2 პროფკავშირთა გუნდის სასარგებლოდ.

სტაერულ გარბენაში პირველ ადგილზე გამოვიდა **ა. ხაბურზანია** (ლიდერი ტატინიანი), მეორე ადგილზე — ამხ. **კოჩინევი** და მესამეზე — **ნაკაძე.** სამივე პროფკავშირთა გუნდის წევრებია.

დინამოელებმა უკანასკნელ ხანს უბარი განაცხადეს შეჯიბრებაში მონაწილეობაზე, რადგან არ აღმოაჩინდათ სტაერები, თუმცა წინასწარ მათი სტაერები ჩაწერილი იყვნენ შეჯიბრებაში.

ქალთა გუნდებიდან საბოლოოდ პირველი ადგილი შეინარჩუნა ამხ. **ლ. მიკირტუმოვამ.**

**

ფეხბურთი

„დინამო“ —ტ. ს. ო. კ.

დღეს, 22 აგვისტოს, ლენინის სახელობის სტადიონზე გაიმართება ამხანაგური შეჯიბრება „დინამოს“ და ტფილისის სამომხმარებლო ორგანიზაციათა კავშირის ფეხბურთელთა გუნდებს შორის.

ეს შეჯიბრება დიდ ინტერეს იწვევს. აღნიშნული გუნდები წელს სამჯერ შეხვედნენ ერთმანეთს და სამივე შეჯიბრება უშედეგოდ დამთავრდა (2:2, 0:0, 1:1).

სამომზმარებლო კოოპერაციის გუნდთამაშობს შემდეგი შემადგენლობით: **ხოლონინი, ედ. ნიკოლაიშვილი, ჟ. ჭუმბურიძე, ლვინიაშვილი, ნ. ჩხატარაშვილი, კ. კვაძე, ინაძე, სიხარულიძე, შ. ჩხატარაშვილი, ახმეტელი, აფრდოლინიძე.**

„დინამო“-ს მხრიდან ითამაშებენ: **დოროხოვი, შავგულიძე, ფოჩხუა, ბელოვი, აბაშიძე, ჯაშვილოვოი, ბაციაშვილი, მალაშვილი, პანინი, ასლამაზოვი, ყდანია.**

თამაში დაიწყება საღამოს 6 საათზე.

ახალი საკგზატრანსის სპეციალისტებისათვის

ლენინის ქუჩის დასაწყისში და საზონოვის ქ. კუთხეში შენდება დიდი ხუთსართულიანი საცხოვრებელი სახლი საქგზატრანსის ინჟენერ-ტექნიკოსებისათვის.

სახლში სულ 35 ბინა იქნება, თვითეულ ბინას ექნება საკუთარი სამზარეულო, სააბაზანო, ანტრეზოლში და საწყობი, სააბაზანო, სანტრეზოლში და საწყობი.

მშენებლობის ხელმძღვანელები (სამუშაოთა მწარმოებელი — ინჟ. ვ. მიქიაშვილი) განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ სამუშაოთა შესრულების ხარისხობრივი მაჩვენებლების გაუმჯობესებას, რისთვისაც მშენებლობამ მიიღო ქების ფურცელი.

ბანკეტი

18 აგვისტო

ხახაკოფლო ჯოჯოდუქციის გამომუშავება ტონობით

		%
3.330	3.042	91,3

ჯაგონების ჭიფოდება

—	162	162

ბოლო ნებვა ბარონ ბანკინისა

საუკეთესო სასადილო და კულტურული

26 კომუნართა სახელობის ქარხანა ერთ-ერთ მოწინავეთაგანია ტფილისის საწარმოთა შორის. ამ მოწინავე საწარმოს აქვს ყველაზე უკეთესი სასადილო, რომელშაც პირველი ჯილდო მიიღო მუშათა სასადილოების რესპუბლიკის კონკურს-შეჯიბრობაში. 20 აგვისტოს მუშათა საუკეთესო სასადილოების წარმომადგენელთა ოეკოებაზე აღნიშნულ სასადილოს გადასცეს ცეკავშირის სახელობის გარდამავალი დროშა.

26 კომუნართა სახელობის ქარხანასთან მოწყობილი და გახსნილია მუშათა დახურული კოოპერატიები, რომელიც აგრეთვე პირველ ადგილზე გამოდის სავაჭრო-ფინანსო გეგმების შესრულებაში. მიმდინარე წლის პირველი ორი კვარტალის გეგმა აღნიშნულმა კოოპერატივმა შეასრულა 20 პროცენტის გადაჭარბებით. კოოპერატივში საბჭოთა კულტურული ვაჭრობის პრინციპების დასანერგავად ყოველდღე მორიგეობენ მუშათა წარმომადგენლები.

სურათზე: 26 კომუნ. სახ. მუშათა კოოპერატივის ერთი კუთხე.

მასწავლებელთა კურსები პოჯორში

საბავშო სახლების მუშაობის რაციონალიზაციის მიზნით განსაბკომის განკარგულებით კოჯორში გაიხსნა პედ-მუშაკების გადასამზადებელი კურსები, მაგრამ ზოგერთმა სბაგშო სახლმა ვერ შეიფასა ეს უაღრესად აქტუალური საკითხი და ვერ უზრუნველყო პედმუშაკების კურსებზე დასწრება.

კურსებზე მუშაობას მიცემული აქვს პრაქტიკული ხასიათი, თეორიულ ლექციებთან ერთ ერთ მისი პრაქტიკული გადამუშავება, მსმენელთა მიერ ადგილებზე მიღებული გამოცდილების მიხედვით.

საჭიროა იმ სბაგშო სახლებმა, რომლებიც კურსებზე არ არიან წარმოდგენილნი, შეიძინონ კურსებზე დამუშავებული მასალები.

კურსების მუშაობა დამთავრდება 27 აგვისტოს.



პლეხანოვის სახ. მუშათა კლუბში—ლომოსავლური ცეკვის საღამო ლიბიერიის ხელმძღვანელობით ბაღში ერთ ახალი პროგრამა.

ვოროშილოვის სახ. საზაფხულო ბაღში—კონცერტი. მონაწილეობენ მუზიკოლოგ და ოპერეტის მსახიობები. ბაღში ცეკვა.

ტრამვაის კლუბში — ტფილისის სატრამვოეატრის წარმოდგენა, „ჩინჩალაძის მოგზაურობა“.

ძერჟინსკის სახ. საზაფხულო ბაღში (ყოფილი „სტელა“) — უკანასკნელად „ბალერინა“ მეორე მოქმედებაში ფრანგულ სიმღერას შესრულებს ტოკარსკაია. — და დიდი ბალეტი „ეგზოტიკის მხარეში“.

ორჯონიკიძის სახ. საზაფხულო ბაღში—ბაქოს ქართული თეატრის გასტროლები. ბაღში სასლეე ორკესტრი და კინო ... პროგრამა.

ფერილი რედაქციის მიმართ

ბალლობას ეფუცხდებთ ოოგანიზაციას, აძსენგიას, და მეგალბრეს, რომლებმაც გინაწილეს ჩვენი მეზობარება გოლდინ ბალეტოკის ტრაგიკულად დაღუპვის გამო.

ლეონა ხოკერიძე.
ი. ლისაშვილი.

... ბანკეტი

ოქტომბერი
... 9, 11.

დამკვრელი საზაფხ
8.30, 8, 9-30 11

დამკვრელი საზამთ.
8-45 10, 11-15

ეთერი საზაფხ
... 11

ტემპი (საზაფხ.)
9 11

„ეწ“-ის სახელ.
... 9 11.

რ. ლიუქსემბურგის სახელობის
...

„კომინტერნი“ საზაფ.
დიდუბე 9, 11.

მხატვრული ხელოვნ. ფილმი
სიკვდილით დასჯა

ამერიკული ფილმი
1-ლი სერია
ვერცხლის შარფი

ახალი ... ფილმ
სის...ოფე და შეტ ვა
ძეთ...ლში ...ლდ ...

ახალი ბატ. ფილმ
გ ვ ი რ ა ბ ი

სომხეთ...ნოოოს ნაწარმოები
გ ი ძ ო ტ ი

...ბოა ... ფილმ
სიკვდილის კონვეირი

...ხალგრ. ... ფილმ
ნ ა ბ ო ბ ი

... ბანკეტი

ეკ ... ბ ... ...

ეკ. ... ...

ეკ. ... ...

**ეკ.